



ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი

15.09.2014

№ 35

სარჩევი

საქართველო.....	3
„საპარტნიორო ფონდის“ მენეჯმენტმა ნენსკრას ტერიტორია დაათვალიერა	3
2014 წლის აგვისტოს თვის ანგარიშსწორების მაჩვენებლები	4
ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური მცირდება	4
რეგიონი	6
თურქეთი ენერჯის განახლებად წყაროებში ახდენს ინვესტირებას	6
სომხეთის მთავრობა და „კონტურგლობალი“ ვოროთანის ჰესთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აგრძელებენ	7
„აზერბაიჯანის სანავთობო ფონდში“ „აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის“ პროექტიდან 105 მლრდ დოლარზე მეტი შევიდა	8
რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები	9
„გაზპრომი“ ევროკავშირისგან მომავალ 5 წელში შემოსავლების შემცირებას ელოდება..	9
რუსეთი ნავთობსა და გაზზე გადასახადების რეფორმას გეგმავს.....	10
თურქმენეთი ბუნებრივი გაზისა და მომყოლი აირების მოპოვება იზრდება.....	11
ევროპა	12
2050 წლისათვის ბირთვულმა ენერჯიამ შესაძლოა გაერთიანებული სამეფოს სიმძლავრის 50% შეადგინოს	12
2014 წლის აგვისტოში ესპანეთის მთლიან ენერგეტიკულ მიქსში განახლებადი ენერჯის წყაროებიდან წარმოებულმა ენერჯიამ 34.6% შეადგინა	13
ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკა ზიანს აყენებს ევროპული მრეწველობის კონკურენტუნარიანობას.....	14
მსოფლიო.....	16
ევროკავშირი ამერიკას ნავთობისა და გაზის ევროპაში ექსპორტის დაწყებას თხოვს.....	16
ეთიოპიურ-ჩინური კონსორციუმი 385 მგვტ ჯამური დადგმული სიმძლავრის „გება 1“ და „გება 2“ ჰესებს აშენებს.....	19
ანალიტიკა	20
მსოფლიოს 10 უდიდესი კაშხალი.....	20

„საპარტნიორო ფონდის“ მენეჯმენტმა ნენსკრას ტერიტორია დაათვალიერა



„საპარტნიორო ფონდის“ მენეჯმენტმა სვანეთში ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისთვის შერჩეული ტერიტორია დაათვალიერა. ფონდის წარმომადგენლები გაეცნენ მისასვლელი გზებისა და ინფრასტრუქტურის მდგომარეობას, ასევე რელიეფურ და სხვა ბუნებრივ პირობებს. როგორც „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ირაკლი კოვზანაძემ ტერიტორიის დათვალიერების შემდეგ განაცხადა, სადგურის ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ქვეყანაში ელექტროენერჯის დეფიციტის რისკები საგრძნობლად შემცირდება. „უკვე დაწყებულია სადგურამდე მისასვლელი გზის მშენებლობა, მიმდინარეობს მოლაპარაკებები კორეულ კომპანიასთან - „ქეი ვოთერთან“, რომელთანაც ხელი მოეწერა პირველად ხელშეკრულებას, ხოლო საბოლოო შეთანხმებები მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა გაფორმდეს. ვგეგმავთ, რომ 2015 წლის გაზაფხულიდან როგორც კი კლიმატური პირობები ამის შესაძლებლობას მოგვცემს, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დავიწყით,“ - აღნიშნა ირაკლი კოვზანაძემ.

210 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურს „საპარტნიორო ფონდი“ სვანეთში მდ. ენგურის შენაკადზე აშენებს, რომლის პოტენციური გამომუშავება 1.2 მლრდ კვტ/სთ. იქნება. ფონდის მრჩეველი ამ პროექტში „საერთაშორისო საფინანსო კორპორაციაა“. გარდა ნენსკრას პროექტისა, ენერჯეტიკის სექტორში ფონდი ასევე მუშაობს 230 მგვტ სიმძლავრის გარდაბნის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის პროექტზე, რომლის განხორციელების შედეგად ქვეყანა წლიურად მიიღებს დამატებთ 1.8 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერჯიას. კონტრაქტორი ამ პროექტში არის თურქული კომპანია „ჩალიკ ენერჯი.“ 220 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პროექტს აფინანსებს „საპარტნიორო ფონდი“ შვილობილ კომპანია - „საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციასთან“ ერთად და სადგურის ექსპლუატაციაში გაშვებას 2015 წლის ბოლოდან გეგმავს.¹

¹ http://fund.ge/geo/view_news/223

2014 წლის აგვისტოს თვის ანგარიშსწორების მაჩვენებლები

2014 წლის აგვისტოს თვეში ესკო-ს მეშვეობით შესყიდულმა (გაყიდულმა) საბალანსო ელექტროენერჯის რაოდენობამ 132 969 316 კვტ.სთ შეადგინა, რაც აღნიშნულ თვეში ქსელში მთლიანი მიწოდების 14.7%-ს წარმოადგენს. საბალანსო ელექტროენერჯის ღირებულებამ 12 897 350 ლარი შეადგინა.

აგვისტოში საბალანსო ელ.ენერჯის საშუალო შეწონილმა ფასმა ერთ კვტ.სთ.-ზე 9.6994934 თეთრი შეადგინა. დერეგულირებული ელ.სადგურების საბალანსო ელექტროენერჯის ფასმა კი 1.17 თეთრი/კვტ.სთ შეადგინა.



აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ესკო-ს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერჯის მომწოდებლები იყვნენ თბოელექტროსადგურები და ჰიდროელექტროსადგურები. აგრეთვე, აგვისტოს თვეში ესკო-ს მიერ განხორციელდა ელექტროენერჯის იმპორტი აზერბაიჯანიდან კომერციული ხელშეკრულებით. საბალანსო ელექტროენერჯის მთლიან მოცულობაში ჰიდროელექტროსადგურების წილი 14% იყო, თბოსადგურების – 30%, ხოლო იმპორტის – 56%.

2014 წლის აგვისტოში ესკო-დან საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვა განახორციელეს გამანაწილებელმა ენერგოკომპანიებმა და პირდაპირმა მომხმარებლებმა. მათი წილობრივი მონაწილეობა საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვაში, შესაბამისად, 68%-სა და 32%-ს შეადგენს.

აგვისტოს თვეში გარანტირებული სიმძლავრის სამივე წყაროს მიერ ფაქტობრივად უზრუნველყოფილი გარანტირებული სიმძლავრის მთლიანი ღირებულება იყო 1 602 974 ლარი, ხოლო გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების მიერ ყოველ მოხმარებულ კილოვატ საათზე გადახდილმა გარანტირებული სიმძლავრის საფასურმა 0.20429359 თეთრი შეადგინა.²

ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური მცირდება

„საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ“ შეიმუშავა ცვლილებათა პაკეტი, რომლის მიხედვითაც ახალი საყოფაცხოვრებო მომხმარებლის ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური 600 ლარიდან 400 ლარამდე შემცირდება. შემცირებული საფასურის გადახდა

² http://esco.ge/index.php?article_id=147&clang=0

მოქალაქეს 24 თვის განმავლობაში შეეძლება. ცვლილებათა პაკეტი მიმდინარე წლის პირველ ნოემბრამდე შევა ძალაში.



სემეკის 2009 წლის 9 ივლისის #12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესებში“ შესატანი ცვლილებათა პაკეტი გამანაწილებელ კომპანიებს დაავალდებულებს ზედმიწევნით დაიცვან მომხმარებელთა უფლებები და ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოები კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადებში ხარისხიანად აწარმოონ. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მხრიდან მოხდება ვადების დარღვევა და ახალი აბონენტის ქსელზე მიერთება კანონით განსაზღვრულ ვადებს გადაცდება, მომხმარებელი მიერთების საფასურის 50%-ის გადახდისგან გათავისუფლდება. აღნიშნული ცვლილებათა პაკეტი ბუნებრივი გაზის სექტორში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასა და მომხმარებლის უფლებების განუხრელ დაცვას ისახავს მიზნად. ცვლილებების მიხედვით, გაუმჯობესდება გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ტექნიკური სამუშაოების ხარისხი და მის მოვლა-პატრონობაზე სრული პასუხისმგებლობა კომპანიას დაეკისრება.

აღნიშნული სიახლეების შესახებ მიმდინარე წლის 9 სექტემბერს „საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ“ სამუშაო შეხვედრა გამართა, სადაც დასწრება შეეძლო ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. ინფორმაცია სამუშაო შეხვედრის გამართვის შესახებ განთავსებული იყო კომისიის ვებ გვერდზე.³

³ <http://www.gnerc.org/index.php?m=560&newsid=500>

თურქეთი ენერჯის განახლებად წყაროებში ახდენს ინვესტირებას

„საერთაშორისო ენერჯეტიკული სააგენტოს“ ანგარიშის მიხედვით, 2020 წლამდე ევროპის განახლებადი ენერჯების 141 000 მგვტ.-ით ზრდაში თურქეთის წილი 15% იქნება.

ანგარიშის თანახმად, ევროპაში განახლებადი ენერჯები 2020 წლამდე წლიურად საშუალოდ 0.8%-ით გაიზრდება და მოთხოვნის ზრდის ნახევარი თურქეთზე მოვა.

ენერჯიაზე მოთხოვნის ზრდის მიზეზი მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის ზრდა, სწრაფი ურბანიზაცია და ეკონომიკური აღმავლობაა.



იმისათვის, რათა ევროპამ ენერჯეტიკული მოთხოვნა დაიკმაყოფილოს, საჭიროა სისტემას 2020 წლამდე 141 000 მგვტ ჯამური დადგმული სიმძლავრე დაემატოს.

სააგენტოს ცნობით, 2013 წელს ევროპამ ენერჯის განახლებადი წყაროებით ჯამურად 1 095 ტვტ.სთ ელ.ენერჯია აწარმოა, რაც ჯამური წარმოების 30% იყო. 2020 წლისთვის ისინი ვარაუდობენ, რომ ენერჯის განახლებადი წყაროებიდან 1 4000 ტვტ.სთ. ელექტროენერჯის წარმოებას შეძლებენ და განახლებადები საერთო წარმოების 36.5 % იქნება. ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ ზრდის 40%-მდე ქარის სადგურებზე მოვა.

„საერთაშორისო ენერჯეტიკული სააგენტოს“ ანგარიშის მიხედვით, გერმანია, გაერთიანებული სამეფო და თურქეთი ევროპის განახლებადი ენერჯის ნახევარზე მეტს აწარმოებენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თურქეთის წილი ზრდაში 15% იქნება და სხვადასხვა წყარო იქნება მასში ჩართული (ჰიდრო, ქარი, მზე, ბიოენერჯია და გეოთერმია).

თურქეთის ენერჯის განახლებადი წყაროების ჯამური დადგმული სიმძლავრე 2013 წელს 24 000 მგვტ. იყო და 2020 წლისთვის სავარაუდოა, რომ ეს რიცხვი 38 800 მგვტ.-მდე გაიზრდება.

თურქეთის ენერჯეტიკის მინისტრის თანერ ილდიზის ცნობით, ქვეყანა ამჟამინდელი ჯამური დადგმული სიმძლავრის (68 236 მგვტ) 50 000 მგვტ-ით გაზრდას გეგმავს 9 წელში, ანუ 2023 წლისთვის და ამისთვის 122 მლრდ აშშ დოლარის ინვესტირებას აპირებს. თურქეთი გეგმავს 2023 წლისთვის ქვეყნის ჯამური დადგმული სიმძლავრე 120 000 მგვტ.-მდე აიყვანოს.

2023 წლისთვის მისაღწევი გეგმების მიხედვით, ქარის ჯამურმა დადგმულმა სიმძლავრემ 20 000 მგვტ.-ს, გეოთერმულის - 600 მგვტ.-ს, ხოლო მზის 3 000 მგვტ.-ს უნდა მიაღწიოს.⁴

სომხეთის მთავრობა და „კონტურგლობალი“ ვოროთანის ჰესთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აგრძელებენ

სომხეთში აშშ-ის ელჩის ჯონ ჰეფერნის განცხადებით, სომხეთის მთავრობა და ნიუ-იორკში დაფუძნებული ენერჯეტიკული კომპანია „კონტურგლობალი“ აგრძელებენ მოლაპარაკებას, რათა დაასრულონ 29 იანვარს დადებული გარიგება, რომლის მიხედვითაც ამერიკულმა კომპანიამ 180 მლნ აშშ დოლარად უნდა იყიდოს 450 მგვტ. ჯამური დადგმული სიმძლავრის ვოროთანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადი და უნდა მოახდინოს მისი მოდერნიზება.



თუ გარიგება წარმატებით დასრულდა, ეს იქნება ყველაზე მსხვილი კერძო ამერიკული ინვესტიცია ქვეყანაში და პირველი ამერიკული ინვესტიცია ქვეყნის ენერჯეტიკის სექტორში. ვოროთანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადზე ჯამური დადგმული სიმძლავრის 15% მოდის და ის ელ.ენერჯით 250 000 ოჯახს უზრუნველყოფს.

„ჩვენ მხარს ვუჭერთ მოლაპარაკებების პროცესს და ვიმედოვნებთ რომ გარიგება ორივე მხარეს დააკმაყოფილებს,“ - განუცხადა ელჩმა ჟურნალისტებს.

⁴ <http://www.dailysabah.com/energy/2014/09/08/turkey-invests-in-renewable-energy>

შეთანხმების პირობების თანახმად, „კონტურგლობალის“ შვილობილი „კონტურგლობალ ჰიდრო კასკადი“ იქნება ვოროთანის 2 ჰიდროელექტროსადგურის მფლობელი და ელ.ენერჯის შესყიდვის გრძელვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე ელ.ენერჯიას მიაწვდის სომხეთის ენერჯეტიკულ ქსელს.

„კონტურგლობალი“ 6 წლის განმავლობაში 70 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს ჰიდროელექტროსადგურების კასკადში, რათა გააუმჯობესოს მათი მუშაობა, უსაფრთხოება, საიმედოობა და ეფექტურობა. კომპანიაში აცხადებენ, რომ კასკადის მოდერნიზაციის დროს 150 ადამიანი დასაქმდება, ხოლო ოპერირებისას ისინი კვლავ 150-მდე ტექნიკურ მუშაკს დაასაქმებენ.⁵

„აზერბაიჯანის სანავთობო ფონდში“ „აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის“ პროექტიდან 105 მლრდ დოლარზე მეტი შევიდა

აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტოს DAY.az-ის ცნობით, 2014 წლის 1 სექტემბრის მონაცემებით, 2001 წლიდან დაწყებული „აზერბაიჯანის სახელმწიფო სანავთობო ფონდში“ კასპიის ზღვის აზერბაიჯანის სექტორში „აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის“ ნავთობისა და გაზის საბადოს დამუშავების პროექტის რეალიზაციის ფარგლებში შევიდა 105.802 მლრდ აშშ დოლარი.

„აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის“ საბადოს დამუშავების კონტრაქტი 1994 წელს დაიდო. ბლოკის ნავთობის დამტკიცებული მარაგები შეადგენს დაახლოებით 1 მლრდ ტონას.

კონტრაქტის მეწილეები არიან: „ბიპი“ (აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ოპერატორი) – 35.78 %; „შევრონი“- 11.27%, „ინპექსი“- 10.96 %, „აზეისიჯი“ – 11.65 %, „სტატოილი“- 8.56%, „ექსონი“ - 8 %, „ტპაო“ – 6.75%, „იტოჩუ“ – 4.3%, „ოუნჯისი“- 2.72%.

აზერბაიჯანის სახელმწიფო სანავთობო ფონდი შეიქმნა 1999 წელს და იმ მომენტისათვის მისი აქტივები შეადგენდა 271 მლნ აშშ დოლარს.⁶

⁵[http://arka.am/en/news/business/armenian authorities and contourglobal continue talks to finalize vorotan cascade deal ambassador/](http://arka.am/en/news/business/armenian_authorities_and_contourglobal_continue_talks_to_finalize_vorotan_cascade_deal_ambassador/)

⁶<http://oilnews.ge/index.php?menuid=7&lang=1&id=3222>

„გაზპრომი“ ევროკავშირისგან მომავალ 5 წელში შემოსავლების შემცირებას ელოდება

მსოფლიოში უდიდესი გაზის ექსპორტიორი „გაზპრომი“ შესაძლოა მომდევნო 5 წლის განმავლობაში ევროკავშირიდან შემოსავლების შემცირების წინაშე დადგეს, რადგან



მოთხოვნა მცირდება და მყიდველები ფასდაკლებას ითხოვენ. ევროკავშირში გაყიდვები, რაც რუსული სააღრიცხვო სტანდარტებით „კომპანიის შემოსავლების 40%-ს შეადგენს, პროგნოზების მიხედვით მიმდინარე წელს 10%-ით - 55 მლრდ აშშ დოლარამდე შემცირდება.

აღნიშნული პროგნოზი რუსეთსა და უკრაინას შორის არსებულ კრიზისულ სიტუაციას არ ითვალისწინებს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ-ჯერობით გაზის ნაკადები ევროპისკენ არ შეწყვეტილა, ევროკავშირი რუსულ გაზზე დამოკიდებულების შემცირების გზებს ეძებს.

მოთხოვნა მას შემდეგ მცირდება, რაც მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად მიწისქვეშა გაზსაცავებში ბუნებრივი აირის დარეზერვება დაიწყეს.

გადასახადების გადაუხდელობის გამო რუსეთმა უკრაინას მიმდინარე წლის ივნისში გაზის მიწოდება შეუწყვიტა. „გაზპრომის“ განცხადებით მთლიანი ვალი 5.3 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს, საიდანაც 1.43 მლრდ აშშ დოლარი 2013 წლის დავალიანებაა. უკრაინა თავის მხრივ აღნიშნულ დავალიანებას არ ეთანხმება და მის გადათვლას მოითხოვს. ევროკავშირი ამ თვეში სამმხრივ მოლაპარაკებებს გეგმავს და მიწოდების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად დროებითი ფასის დაწესებას სთავაზობს რუსეთს, მინიმუმ მომავალი გათბობის სეზონისთვის.

შემოსავლების შემცირება

„გაზპრომის“ ცნობით, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მოგება 41%-ით შემცირდა უცხოური ვალუტის დაკარგვისა და უკრაინის ვალის გამო. წმინდა მოგება გასული წლის 10 მლრდ აშშ დოლარიდან 6 მლრდ აშშ დოლარამდე შემცირდა. რუსეთის სააღრიცხვო სტანდარტების მიხედვით, რომელიც დივიდენდების გამოსათვლელად გამოიყენება, კომპანიის პირველი წლის მოგება 38%-ით შემცირდა 4 მლრდ აშშ

დოლარამდე. დივიდენდების შემცირება შესაძლოა ინვესტორების მიერ სასამართლოში სარჩელის შეტანის მიზეზი გახდეს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის ფონზე.

გაზპრომი მიმდინარე თვეში ევროობლიგაციების გაყიდვასაც გეგმავს.⁷

რუსეთი ნავთობსა და გაზზე გადასახადების რეფორმას გეგმავს

რუსეთის მთავრობა ფედერალურ ბიუჯეტში შემოსავლების გაზრდის მიზნით, ნავთობის ინდუსტრიისთვის გადასახადების ახალი სისტემის შემოღებას გეგმავს. აღნიშნული პროექტი სავარაუდოდ რამდენიმე თვეში დამტკიცდება და მომდევნო წლის დასაწყისში უკვე გარკვეული ეფექტები ექნება. კანონი ნავთობისა და გაზის მომპოვებლებს დაავალდებულებს გადაიხადონ მინერალების მოპოვების გადასახადი (MET) იმ საბადოებზე, სადაც მანამდეც იყო გადასახადები დაწესებული, მაგრამ მომპოვებლები მას არ იხდიდნენ. თუმცა, ეს კანონი კომპანიებს ექსპორტის შემთხვევაში საბაჟო ფასდაკლებებს სთავაზობს. მთავრობის ეს ინიციატივა საგადასახადო განაკვეთების მკვეთრ ზრდას გამოიწვევს, რაც ზოგიერთ კომპანიაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს, მაგალითად, სახელმწიფო ნავთობკომპანია „როსნეფტზე“, რომელიც ახალი გადასახადებით მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს „დაკარგავს“. სწორედ ამიტომ, კომპანიამ მინისტრების გარკვეული ნაწილის ლობი მოიპოვა, რათა საგადასახადო კანონპროექტი შეზერდეს და დაცული იყოს მათი ინტერესები.

ფედერალური მთავრობის შეფასებით, ნახშირწყალბადების მოპოვებაზე არარსებული გადასახადების შედეგად ბიუჯეტს 8.7 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის შემოსავალი დააკლდა. მათ შორის 4.4 მლრდ აშშ დოლარის დანაკლისი წარმოიშვა იმ საბადოებიდან მოპოვებული ნავთობის მოცულობებიდან, რომლის ოპერატორი კომპანია „როსნეფტია“.

კანონპროექტის მიხედვით, ეს საგადასახადო განაკვეთები 2015-2017 წლების პერიოდში იმოქმედებს. ახალი რეგულაცია ამჟამად არსებულ განაკვეთებს ძალაში დატოვებს, უბრალოდ შეიცვლება მათი დათვლის მეთოდოლოგია. მაგალითად, „მინერალების მოპოვების გადასახადის“ ჩანაცვლება არსებული განაკვეთებიდან ნაწილობრივ განთავისუფლებით მოხდება. შედეგად, 2015 წლიდან კომპანიები, რომლებიც MET-ის გადასახადისგან თავისუფალნი არიან, ყოველი ტონის მოპოვებისას 6.6 აშშ დოლარის გადაიხდიან, ან კიდევ 14.3 აშშ დოლარი, რომელიც საბაჟოსო განაკვეთზე - 20.9 აშშ დოლარი/ტონა - ნაკლებია. ამასთანავე, ექსპორტზე საბაჟო

⁷ <http://www.hellenicshippingnews.com/gazprom-said-to-face-biggest-drop-in-eu-revenue-in-5-years/>

გადასახადები მნიშვნელოვნად შემცირდება, რაც კომპანიებს ახალი საბადოებიდან ნავთობის მოპოვების პროცესში დიდ სარგებელს მოუტანს.⁸

თურქმენეთი ბუნებრივი გაზისა და მომყოლი აირების მოპოვება იზრდება

თურქმენეთის ნავთობისა და გაზის მრეწველობის და მინერალური რესურსების სამინისტროს 13 სექტემბრის ინფორმაციით, 2014 წლის იანვარ-აგვისტოში თურქმენეთში ბუნებრივი აირისა და მომყოლი აირების მოპოვებამ 2013 წლის იმავე პერიოდის 111.7% შეადგინა.

ბუნებრივი გაზის ექსპორტმა 114.7%-ს მიაღწია, ანუ 14.7%-ით გაიზარდა. ამჟამად თურქმენეთი გაზის ექსპორტს ჩინეთში, ირანსა და რუსეთში ახორციელებს.

დაგეგმილი მილსადენების მშენებლობა მოიცავს ტრანს-კასპიურ (კასპიის ზღვისა და აზერბაიჯანის გავლით ევროპის მიმართულებით) და ტრანს-ავღანურ (პაკისტანისა და ინდოეთის მიმართულებით) გაზსადენებს.



ბიპი-ს ინფორმაციით, ბუნებრივი აირის მარაგების თვალსაზრისით თურქმენეთს მსოფლიოში მეოთხე ადგილი უკავია რუსეთის, ირანისა და ყატარის შემდეგ.

თურქმენეთის უდიდესი საბადოები თავმოყრილია ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მარიის რეგიონში გალკინიშის საბადოს გარშემო, რომლის რესურსები ადგილობრივი გეოლოგებისა და British GCA მიერ 26.2 ტრილიონი კუბურ მეტრად შეფასებული.

ქვეყანა ყოველდღიურად 70 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ გაზს აწარმოებს. თურქმენეთის ნავთობისა და გაზის განვითარების პროგრამის თანახმად, 2030 წლამდე წარმოების 230 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზრდა იგეგმება და მოცულობის უმეტესობა ექსპორტზე გავა.⁹

⁸NewsBase FSUOGM, FSU Oil & Gas Monitor, Issue 799, 10 September 2014, Russia plans oil and gas tax reform

⁹ <http://en.trend.az/casia/turkmenistan/2311591.html>

2050 წლისათვის ბირთვულმა ენერგიამ შესაძლოა გაერთიანებული სამეფოს სიმძლავრის 50% შეადგინოს

როგორც ლონდონის ბირთვული ინდუსტრიის კონფერენციაზე მთავრობის ერთ-ერთმა წამყვანმა ოფიციალურმა პირმა განაცხადა, ქვეყნის 2050 წლის კლიმატის ცვლილების მიზნების მიღწევისათვის შემუშავებული ერთ-ერთი სცენარის თანახმად, 2050 წლისათვის დიდი ბრიტანეთის გენერაციის 50% შესაძლოა ბირთვულ ენერგიაზე მოვიდეს.



როგორც ხუთშაბათს კლიმატის ცვლილების საკითხებში დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურმა წარმომადგენელმა დევიდ კინგმა ლონდონში WNA 2014 წლის სიმპოზიუმის კონფერენციაზე განაცხადა, „კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში კოლოფში არსებული ყველა ინსტრუმენტი საჭიროა“.

კინგმა აღნიშნა, რომ CO₂-ის ემისიების 80%-ით შემცირება, ქვეყნის ეროვნული ელექტროქსელის წიაღისეული საწვავისაგან გათავისუფლება და მიწისზედა ტრანსპორტის ეროვნულ ქსელში გადაყვანა წარმოადგენს ქვეყნის კლიმატის ცვლილების მიზნების „ამბიციებს“ და მას 2050 წლისთვის უნდა მიაღწიონ.

კინგმა დასძინა, რომ თუკი ატომურ წარმოებას „ძალიან მივაწვებით“, მას „უკუქმედება“ ექნება, როგორც ეს ამჟამად სამხრეთ კორეაში ხდება.


Platts Nucleonics Week 1960 წლიდან კომერციული ატომური ელექტროსადგურების საქმიანობისათვის გლობალური სიახლეების წამყვან წყაროს წარმოადგენს.

„ჩვენ არ შეგვიძლია კლიმატის ცვლილებები გამოვიყენოთ საბაზად, იმისათვის რომ მივაღწიოთ ატომური ენერჯის გაფართოებას“, აღნიშნა კინგმა კონფერენციაზე.

მისი თქმით, დიდი ბრიტანეთის აღმასრულებლები „მერყეობენ“ ახალი ბირთვულ ენერჯებთან მიმართებაში. დიდმა ბრიტანეთმა, რომელიც მანამდე მხარს უჭერდა ქვეყანაში ატომური ენერჯის გაფართოებას, ახრი შეიცვალა მათმდე, რაც 2011 წელს იაპონიაში ფუკუშიმაზე მომხდარი ბირთვული კატასტროფის შემდეგ გერმანიამ პოლიტიკა შეცვალა ბირთვულ ენერჯიაზე ეტაპობრივი უარის თქმის მიმართულებით.¹⁰

2014 წლის აგვისტოში ესპანეთის მთლიან ენერგეტიკულ მიქსში განახლებადი ენერჯის წყაროებიდან წარმოებულმა ენერჯიამ 34.6% შეადგინა

როგორც ესპანეთის ელექტროენერგეტიკული ქსელის ოპერატორის (REE) წინასწარი მონაცემებიდან ირკვევა, 2014 წლის აგვისტოში ესპანეთის მთლიან



ენერგეტიკულ მიქსში განახლებადი ენერჯის წყაროებიდან წარმოებულმა ენერჯიამ 34.6% შეადგინა.

REE-მ ასევე აღნიშნა, რომ ქვეყანაში მთლიანად წარმოებული ენერჯიიდან 52.9% მოვიდა ისეთ ტექნოლოგიებზე, რომლებიც სრულიად თავისუფალია ნახშიროჟანგის (CO₂) ემისიებისგან.

რაც შეეხება განახლებადი ენერჯის სხვადასხვა წყაროდან წარმოებულ ენერჯიას,

ქარის ენერჯია ქვეყანაში უდიდეს წილს იკავებს ჯამური 14%-ით.

ქარის ენერჯის მიერ წარმოებულმა ელ.ენერჯიამ 2014 წლის აგვისტოში 2708 გვტ.სთ. შეადგინა. მზის ფოტოგალვანური სადგურების (PV) წილი მთლიან ენერგეტიკულ მიქსში 4.2% იყო, კონცენტრირებული მზის ელექტროსადგურების (CSP) წილმა 4.2% შეადგინა. ამ პერიოდში ესპანეთში ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ენერჯის წილი მთლიან მიქსში 10.1% იყო.

¹⁰ <http://www.platts.com/latest-news/electric-power/london/nuclear-could-represent-50-of-uks-generation-26878663>

ესპანეთის ძირითად ნაწილში 2014 წლის აგვისტოში ელექტროენერგიაზე მოთხოვნამ 20235 გვტ.სთ. შეადგინა. რაც შეეხება 2014 წლის იანვარი-აგვისტოს მოხმარებას ქვეყანაში, მან ჯამში 162345 გვტ.სთ. შეადგინა.¹¹

ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკა ზიანს აყენებს ევროპული მრეწველობის კონკურენტუნარიანობას

15 წლის წინ, ვიდრე ევროკავშირისა და ირლანდიის ენერგეტიკული პოლიტიკა ამოქმედდებოდა, ირლანდიის რესპუბლიკაში ელექტროენერგიისა და გაზის ფასები გათანაბრებული იყო ევროკავშირის სხვა ქვეყნების ფასებთან, ან უფრო ნაკლები იყო. ამჟამად კი, იგი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი სამჯერ, ხოლო გაზის ტარიფი ოთხჯერ აღემატება დიდი ბრიტანეთის სამომხმარებლო ტარიფებს. ბოლო სამი წლის განმავლობაში ელექტროენერგიის სამომხმარებლო ფასი დაახლოებით სამჯერ გაიზარდა. ასეთი გაზრდელი ტარიფები ენერგეტიკული პოლიტიკის ამოქმედების პირდაპირი შედეგია, რომელიც რესპუბლიკაში მიღებულ იქნა 2000-2008 წლებში.

ბოლო სამი წლის განმავლობაში ტარიფების გაზრდას უკავშირებდნენ წიაღისეული საწვავის ფასებს, მაგ: ნავთობს, ბუნებრივ აირსა და ქვანახშირს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამჟამად ირლანდიაში ძალიან მცირე მოცულობის ნავთობი გამოიყენება ელექტროენერგიის საწარმოებლად, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ნავთობის ფასები სტაბილურია; ასევე, ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად ბუნებრივი აირის გამოყენება საკმაოდ შემცირდა, ხოლო ქვანახშირის ფასები დაეცა.

ირლანდიაში ელექტროენერგიის ფასების ზრდის რეალური გამომწვევი მიზეზები:

ერთ-ერთი მთავარ ფაქტორს წარმოადგენს - ელექტროსადგურებზე, გაზისა და ელექტროენერგიის ქსელებზე ძალიან მაღალი საინვესტიციო კაპიტალის არსებობა, რომელიც დაემთხვა 2008 წლის ეკონომიკურ კრიზისს. 2008-2014 წლებში ელექტროენერგიაზე მოთხოვნა შემცირდა 8 პროცენტით. პიკური მოთხოვნა 2008 წელს 5 000 მგვტ-ით, ხოლო 2014 წელს 4 700 მგვტ-ით შემცირდა. მოთხოვნის შემცირება ძირითადად გამოიწვია ეკონომიკურმა ვარდნამ, მაგრამ ასევე მოქმედებს ის ფაქტორიც, რომ ელექტროენერგიაზე მოთხოვნა განვითარებულ ქვეყნებში არის სტატიკური, ან იზრდება ნელი ტემპებით. დიდ ბრიტანეთში 2013 წელს მოთხოვნა იმავე დონეზე იყო,

¹¹ <http://www.evwind.es/2014/08/29/renewable-energy-sources-generated-34-6-of-the-total-mix-in-august-2014-in-spain/47163>

როგორც ეს იყო 1998 წელს. მოთხოვნის ასეთი ცვლილება ენერგოეფექტურობამაც გამოიწვია. ასევე, იცვლება მრეწველობის სახეობები და ის გადადის ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ჩინეთი, სადაც ელექტროენერჯის ხარჯი გაცილებით ნაკლებია.



გენერაციის სიმძლავრე

2007-2014 წლებში ირლანდიის რესპუბლიკაში ელ.ენერჯის წარმოების სიმძლავრე სამჯერ გაიზარდა, 2007 წელს 7 465 მგვტ-დან 2014წ. 10 000 მგვტ-მდე. დამატებითი სიმძლავრეები მოიცავს ქარის სადგურებს, გაზის თბოსადგურებსა და ახალ დამაკავშირებელ ქსელს დიდ ბრიტანეთთან.

საშუალო ოპერირების ზღვარის გათვალისწინებით, ირლანდიის რესპუბლიკაში იწარმოება 2 000მ გვტ ჭარბი სიმძლავრე. 2007 წლიდან აღნიშნული დამატებითი სიმძლავრეებისა და მასთან დაკავშირებული ქსელების ღირებულება 5 მილიარდ ევროს შეადგენს. იმ პირობებში, როცა ელ.ენერჯიაზე მოთხოვნა მცირდება, აღნიშნული მამუტაბის ინვესტიცია სერიოზულ ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას და აძვირებს ელ.ენერჯის ტარიფს.

ირლანდიის გადაცემის ოპერატორმა (TSO) „Eirgrid“-მა ჩაატარა საშუალოვადიანი კვლევა- 2023 წლამდე, პიკური მოთხოვნის დაახლოებით 500 მგვტ-ით გაზრდის შემთხვევაში. ამ კვლევის მიხედვით, რესპუბლიკაში მომავალი 10 წლის განმავლობაში დამატებითი სიმძლავრეების საჭიროება არ არსებობს, მაგრამ ირლანდიის ენერგეტიკული პოლიტიკის თანახმად, ამ პერიოდში სისტემას უნდა დაემატოს 3 000მგვტ სიმძლავრე (ძირითადად ქარის ენერჯია). აღნიშნული დამატებითი სიმძლავრისა და ქსელთან დამაკავშირებელი გადამცემი ხაზების მშენებლობის საინვესტიციო ღირებულება კი დაახლოებით 5-7 მილიარდ ევროს შეადგენს.¹²

¹²<http://www.irishtimes.com/business/sectors/energy-and-resources/current-eu-energy-policies-have-damaged-european-industrial-competitiveness-1.1928894>

ვროკავშირი ამერიკას ნავთობისა და გაზის ევროპაში ექსპორტის დაწყებას თხოვს

ვაჭრობის ევროკომისარმა კარელ დე გიუხტმა განაცხადა, რომ ტრანსატლანტიკური შეთანხმების ფარგლებში და გეოპოლიტიკური სიტუაციის ფონზე, აშშ-მა თავის თავზე უნდა აიღოს ევროპაში ნავთობისა და გაზის ექსპორტის ვალდებულება.

„მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ენერგეტიკული შეთანხმება მივიღოთ რაც შეიძლება მალე, რადგან, როგორც ალბათ თქვენ შენიშნეთ, ევროპაში რაღაც-რაღაცები ხდება“ - განაცხადა გიუხტმა ვაშინგტონში გამართულ ბრიფინგზე.



„მე ვერ წარმომიდგენია, რომ TTIP (ტრანსატლანტიკური სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორობა) ამოქმედდეს მსგავსი ენერგეტიკული უზრუნველყოფის გარეშე“ - დასძინა ევროკომისარმა, რომელიც ვაშინგტონში ამერიკელ კოლეგასთან მაიკლ ფრომანთან TTIP-ის მომავალი შეთანხმებაზე მოლაპარაკებებს მართავდა. შეთანხმების მიზანია, გაერთიანდეს ამერიკისა და ევროკავშირის ბაზრები, რომლებზეც მსოფლიო ეკონომიკის ნახევარზე მეტი მოდის.

ევროკომისარმა აღნიშნა, რომ ენერგეტიკული შეთანხმება უნდა უსწრებდეს ბაზრების გაერთიანების თაობაზე ხელშეკრულებას, რომელიც წლის ბოლომდე ვერ გაფორმდება. მისი თქმით, ენერგეტიკული შეთანხმება იქნება მძლავრი სიგნალი

მოსკოვისათვის და მისი წყალობით ევროკავშირის დამოკიდებულება რუსულ ენერგომატარებლებზე შემცირდება.

„TTIP-ის ხელშეკრულება საუკეთესო შემთხვევაში წლის ბოლოს გაფორმდება. ვფიქრობ, ყველა დამეთანხმება, რომ დღევანდელ ვითარებაში ენერგეტიკა გაცილებით აქტუალური და გეოსტრატეგიულია“, - აცხადებს კარლ დე გიუხტი.

ევროპისათვის რუსულ ენერგომატარებლებზე დამოკიდებულება უკრაინის კრიზისის შემდეგ გახდა აქტუალური. ბრიუსელი აცხადებს, რომ აღმოსავლეთ ევროპაში არასტაბილურმა სიტუაციამ შესაძლოა რუსეთიდან ნავთობისა და გაზის იმპორტი შეამციროს.

მაისის ბოლო ევროკავშირმა ენერგოუსაფრთხოების ახალი კონცეფცია შეიმუშავა. დოკუმენტში ძირითადი აქცენტი რუსულ ენერგომატარებლებზე დამოკიდებულების შემცირებაზეა გაკეთებული.

მოკლევადიან პერიოდში ევროკავშირი გეგმავს საცავებში ენერგომატარებლების მარაგების გაზრდას და ენერგომომხმარებლის შემცირების ეროვნული გეგმების შემუშავებას. მიწისქვეშა გაზსაცავების ნაწილი ევროკავშირის მმართველობაში გადავა. 2020 წლისათვის ევროკავშირის ენერგომომხმარებლის 20%-ით შემცირება იგეგმება.

შეგახსენებთ, რომ მარტის თვეში აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის გავლენიანმა კონგრესმენებმა პრეზიდენტ ობამას მოუწოდეს გააუქმოს ამერიკული გათხევადებული ბუნებრივი აირის(LNG) ექსპორტზე დაწესებული შეზღუდვები და რუსულ გაზზე ამერიკის მოკავშირეების დამოკიდებულება შეამციროს.

ამ პოზიციას მხარს უჭერს კონგრესის ქვედა პალატის სპიკერი ჯონ ბეინერი. „აშშ-მა არ უნდა დატოვოს თავისი ევროპელი მოკავშირეები რუსული გაზის ტყვეობაში. შეზღუდვების მოხსნა და ექსპორტის დაწყება იქნება ნაბიჯი, რომელიც დემონსტრაციულად აჩვენებს ყველას, რომ აშშ ეხმარება თავის მოკავშირეებს.“ - განაცხადა წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა.

„ფიქალის გაზის რევოლუციის“ წყალობით 2009 წელს ამერიკამ პირველად გაუსწრო რუსეთს ბუნებრივი აირის მოპოვებაში და ექსპორტზეც კი დაიწყო მუშაობა. ამის გამო რუსეთის ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ რუსული გაზის ექსპორტისა და ფასების პროგნოზი მნიშვნელოვნად შეამცირა. ამერიკის ხელისუფლებამ ბუნებრივ აირზე დაბალი ფასების შესანარჩუნებლად გაზის ექსპორტზე შეზღუდვები დააწესა, თუმცა უკრაინის მოვლენებმა პოლიტიკური ელიტის დამოკიდებულება რადიკალურად შეცვალა.

ფიქალის ტექტონოგამ რევოლუცია ამერიკის ნავთობბაზარზეც მოახდინა. აშშ-მა ნავთობის მსხვილი ექსპორტი უკვე დაიწყო და პროგნოზებით, 2017 წლისათვის მსოფლიოს უმსხვილესი ნავთობმომპოვებელი გახდება.

ამერიკამ „ფიქალის გაზის“ ევროპაში დანერგვა და რუსულ გაზზე დამოკიდებულების შემცირება უკრაინის კრიზისამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო. ჯერ კიდევ შარშან რუმინეთმა განაცხადა, რომ ამერიკელებთან ერთად „ფიქალის გაზის“ მოპოვებაზე მუშაობს. ბუქარესტმა ისიც განაცხადა, რომ ევროპაში „გაზპრომის“ მონოპოლიას დაანგრევდა.

ასევე შარშან, ამერიკელთა ინიციატივით, უკრაინამ Royal Dutch Shell-თან ფიქალის გაზის მოპოვების 10 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების კონტრაქტს მოაწერა ხელი. ეს პროექტი უკრაინას საკუთარი გაზით ათეულობით წლის განმავლობაში უზრუნველყოფს. თუმცა ყირიმის მოვლენების გამო, პროექტი დროებით შეჩერებულია. აღსანიშნავია, რომ უკრაინაში ფიქალის გაზის მარაგი ევროპაში ყველაზე მსხვილ მარაგად არის შეფასებული. ანალოგიური პროექტი დაიწყო მეზობელ პოლონეთშიც.

ევროპის რუსულ გაზზე დამოკიდებულების შესამცირებლად ამერიკა ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან იყო კასპიის რეგიონის გაზის მოპოვებისა და ევროპაში ექსპორტის, Nabucco-სა და TANAP-ის პროექტების სულისჩამდგმელი.

ჰორიზონტალური ბურღვისა და ქანების ჰიდრაულიკური გარღვევის ტექნოლოგიების განვითარების შედეგად შესაძლებელი გახდა ე.წ. ფიქალის გაზის მოპოვება. საინტერესოა, რომ გაზის ამ მარაგს აქამდე არც კი განიხილავდნენ.

ბუნებრივი აირის ამერიკიდან ევროპაში ტრანსპორტირება იგეგმება ბუნებრივი აირის გათხევადების (LNG — liquefied natural gas) ტექნოლოგიით. LNG ტექნოლოგია ბუნებრივ აირის 600-ჯერ შეკუმშვის და შემდეგ ტანკერების, ავტო ან სარკინიგზო ცისტერნების მეშვეობით გადატანის საშუალებას იძლევა. ეს ტექნოლოგია სულ უფრო პოპულარულია, რადგან 1000კმ-ზე და მეტ მანძილზე გადატანისას ტრანსპორტირების ხარჯები უფრო ნაკლებია, ვიდრე ტრადიციული გაზსადენებით ტრანსპორტირებისას.

რაც შეეხება ტრანსატლანტიკური სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორობის (TTIP) შეთანხმებას, ევროკავშირის ლიდერები და ობამას ადმინისტრაცია TTIP-ის განიხილავენ, როგორც საუკეთესო საშუალებს სამუშაო ადგილებისა და ბიზნესის ხელშეწყობისათვის.

ამ გეგმის მიხედვით 21-ე საუკუნეში მსოფლიო ეკონომიკის ნახევარი TTIP-ზე მოვა. გაერთიანება აშშ+ევროკავშირი ყოველწლიურად დამატებით 100-100 მილიარდ აშშ დოლარს მოუტანს ატლანტიკის ორივე მხარეს. TTIP გლობალური ბიზნესის ახალ სტანდარტებს შექმნის და ჩინეთის ძლიერი საპირფონე იქნება.

დღეისათვის აშშ-სა და ევროკავშირის შორის ყოველდღიური სავაჭრო ბრუნვა 3 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. TTIP ბიზნესისათვის, განსაკუთრებით ტრანსნაციონალური კომპანიებისათვის, შექმნის უზარმაზარ ერთიან სივრცეს, რომლის სამომხარებლო ბაზარი 800 მილიონი ადამიანი იქნება.¹³

ეთიოპიურ-ჩინური კონსორციუმი 385 მგვტ ჯამური დადგმული სიმძლავრის „გება 1“ და „გება 2“ ჰესებს აშენებს

ეთიოპიის მთავრობის მიერ გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც დასავლეთ ეთიოპიაში მდინარე გებაზე 2 კაშხლის მშენებლობას ითვალისწინებს, ეთიოპიურ-ჩინურმა კონსორციუმმა გაიმარჯვა.

მთავრობის საკუთრებაში არსებული ახალი ამბების სააგენტოს ცნობით, ეთიოპიის მთავრობამ ეთიოპიურ „სურ კონსტრაქშენთან“, ჩინურ „სინოჰიდროსა“ და „ჩინეთის გეჟოუბა ჯგუფთან“ (CGGC) ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერა ხელი.

“ეთიოპიის ენერგეტიკულმა კორპორაციამ“ 220 მგვტ. დადგმული სიმძლავრის „გება 1-სა“ და 165 მგვტ. დადგმული სიმძლავრის „გება 2-ის“ სადგურების ასაშენებლად ინტერესთა გამოხატვა გამოაცხადა. ეს ორი ჰესი იმ 22 პროექტს შორის იყო, რომლებიც 2004 წელს ეთიოპიის, ეგვიპტისა და სუდანის მთავრობების დაკვეთით და „დასავლეთ ნილოსის ენერგეტიკული სავაჭრო პროგრამის“ ფარგლებში გამოიკვლიეს. კვლევა „აფრიკის განვითარების ბანკმა“ დააფინანსა.

ეს სამი კომპანია მდინარე ტეკეზეზე 300 მგვტ. დადგმული სიმძლავრის მშენებლობაშიც მონაწილეობდა. გებას შეთანხმების თანახმად, „სური“ სამუშაოს 25%-ს , ხოლო 75%-ს სხვა კომპანიები შეასრულებენ.

სამხრეთ ეთიოპიაში მდებარე არბამინჩის უნივერსიტეტი პროექტისთვის ჰიდრავლიკური მოდელის ტესტირებას შეასრულებს.

ეთიოპიის წყლის, ირიგაციისა და ენერგეტიკის მინისტრმა ალემაიჰუ ტეგანუმ განაცხადა, რომ გებას სადგურის ღირებულების (583 მლნ აშშ დოლარი) 80%-ს „ჩინეთის ექსპორტ-იმპორტის ბანკი“ დააფინანსებს.

კომპლექსი „გება 1-სგან“ (რომლის სიმაღლე 480 მეტრია, ხოლო გამომუშავება საშუალოდ - 935 გვტ.სთ.-ია) და „გება 2-სგან“ (სიმაღლე 267 მეტრი იქნება, ხოლო მისი გამომუშავება 853 გვტ.სთ.) შედგება. პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა 2005 წელს „ნორვლან-ნორკონსალტმა“ გააკეთა და გადაწყდა, რომ ერთ წყალსაცავიანი სქემა ეკონომიკურად ყველაზე გამართლებული ალტერნატივაა.

¹³ <http://news.ge/ge/news/story/104095-evrokavshiri-amerikas-navtobisa-da-gazis-evropashi-eqsportis-datsyebas-tkhovs>

ეთიოპიის, ეგვიპტისა და სუდანის წყლის რესურსების მინისტრები აგვისტოში ასევე შეთანხმდნენ, რომ ისინი ჩამოაყალიბებენ ერთობლივ საბჭოს, რომელიც ლურჯ ნილოსზე მშენებარე ეთიოპიის 6 000 მგვტ დადგმული სიმძლავრის „რენესანსის კაშხალს“ და მასთან დაკავშირებულ სოციალურ და გარემოზე ზემოქმედების ეფექტებს შეისწავლის.¹⁴

ანალიტიკა

მსოფლიოს 10 უდიდესი კაშხალი

განახლებად ენერჯიებს შორის, ერთ-ერთ ლიდერ პოზიციას იკავებს ჰიდროენერგეტიკა. მასზე მსოფლიო ელექტროენერჯის წარმოების 16% მოდის, წარმოების სავარაუდო წლიურ ზრდა კი 3.1%-ს წარმოადგენს. ჩინეთი ამჟამად მსოფლიოში ლიდერია ჰიდროელექტროენერჯის წარმოების თვალსაზრისით, თავისი 4 უდიდესი კაშხლით, რაც ადგილობრივი ელექტროენერჯის ჯამური მოხმარების 17%-ს აკმაყოფილებს. ჰიდროენერგეტიკა განახლებადი ენერჯიების ბაზარზე ყველაზე მიმზიდველია თავისი დაბალი ღირებულებით, წარმოების მოქნილობითა და წიაღისეულ საწვავთან შედარებით, სათბური გაზების ოდენობის სიმცირის თვალსაზრისით.

სტატიაში წარმოგიდგენთ მსოფლიოს 10 უდიდეს კაშხალს:

10. რობერ ბურუსას კაშხალი (Robert-Bourassa)

ლე გრანდი, კანადა (La Grande, Canada)

აღნიშნული სადგური მდებარეობს კვებეკში და წარმოადგენს „James Bay Project“-ის ნაწილს. მისი დადგმული სიმძლავრე 5616 მგვტ.-ია. კაშხალს სახელი დაერქვა კვებეკის პრემიერ-მინისტრის რობერ ბურასას (Robert Bourassa) საპატივცემულოდ და იგი ექსპლუატაციაში 1981 წელს შევიდა.

9. „კრასნოიარსკი“ ()

მდინარე ენისეი, რუსეთი

კაშხალი 1972 წელს შევიდა ექსპლუატაციაში და დღემდე მუშა მდგომარეობაშია. იგი მდებარეობს რუსეთის სამხრეთ ნაწილში და მისი დადგმული სიმძლავრე 6 000 მგვტ.-ია.

¹⁴<http://www.hydroworld.com/articles/2014/09/ethiopia-china-consortium-to-construct-385-mw-geba-1-2-hydro-project-in-ethiopia.html>

8. ლონგტანის კაშხალი (Longtan Dam)

მდინარე ჰონგშუი, ჩინეთი (Hongshui River, China)

ლონგტანის კაშხალი მსოფლიოში ყველაზე მაღალია მსგავსი ტიპის კაშხლებს შორის და მისი დადგმული სიმძლავრე 6 426 მგვტ.-ია. იგი შედარებით ახალია, ექსპლუატაციაში 2007 წელს შევიდა.

7. გრანდ ქოული (Grand Coulee)

მდინარე კოლუმბია, აშშ (Columbia River, United States)

გრანდ ქოული ვაშინგტონის შტატის კლასიკური კაშხალია. იგი აშენდა 1933 წელს და დღემდე იკავებს ადგილს მსოფლოს ერთ-ერთ უდიდეს კაშხლებს შორის. მისი დადგმული სიმძლავრე 6 809 მგვტ.-ია და ამჟამად მიმდინარეობს მისი კაპიტალური შეკეთება.

6. ქსიანგიაბა (Xiangjiaba)

მდინარე ჯინშა, ჩინეთი (Jinsha River, China)

კაშხალი მდინარე იანძის (Yangtze River) შენაკადებზე მდებარეობს და მისი დადგმული სიმძლავრე 6 400 მგვტ.-ია. ექსპლუატაციაში 2012 წელს შევიდა.

5. ტუცურუ (Tucuruí)

მდინარე ტოკანტისი, ბრაზილია (Tocantins River, Brazil)

ტუცურუს კაშხალი პირველი მამუტაბური ჰიდროენერგეტიკული პროექტია ამაზონის ტროპიკულ ტყეებში. იგი ექპლუატაციაში 1984 წელს შევიდა და 8 370 მგვტ დადგმული სიმძლავრე აქვს.

4. გური (Guri)

მდინარე კარონი, ვენესუელა (Caroní River, Venezuela)

გურის კაშხალი გრანდიოზულია. ის 7 426 მეტრი სიგრძისა და 162 მეტრი სიმაღლისაა. კაშხალი ასევე საკმაოდ ძველია - 1978 წელს შევიდა ექსპლუატაციაში. ამჟამად მისი დადგმული სიმძლავრე 10 235 მგვტ.-ია.

3. ქსილოუდუ (Xiluodu)

მდინარე ჯინშა, ჩინეთი (Jinsha River, China)

ქსილოუდუს კაშხლის სიმძლავრე 13 860 მგვტ.-ია. მას ასევე გააჩნია წყალდიდობის კონტროლის ფუნქცია, იცავს რეგიონს დატბორვისაგან. კაშხალი ახალია,

ექსპლუატაციაში 2013 წელს შევიდა, მას მართავს ჩინური კომპანია - „China Yangtze Power“.

2. კაშხალი იტაიპუ (Itaipu Dam)

მდინარე პარანა, ბრაზილია/პარაგვაი (Paraná River, Brazil/Paraguay)

ეს კაშხალი ზოგჯერ უფრო მეტ ენერჯიას გამოიმუშავებს, ვიდრე რიგით პირველ ადგილზე მყოფი კაშხალი. 14 გვტ დადგმული სიმძლავრე საკმაოდ შთამბეჭდავია. იგი ორი ქვეყნის საზღვარზე მდებარეობს, რაც მოლაპარაკებებს ართულებს.



1. სამი ხეობის კაშხალი (Three Gorges Dam)

მდინარე იანძი, ჩინეთი (Yangtze River, China)

ეს არის მსოფლიოში ყველაზე დიდი კაშხალი. მისი დადგმული სიმძლავრე 22.5გვტ.ია სამი ხეობის კაშხლის (Three Gorges Dam) მშენებლობა ჩინეთში 1919 წელს დაიწყო და ექსპლუატაციაში 2008 წელს შევიდა. გარდა მისი სიმღიერისა და გრანდიოზულობისა, იგი თანამედროვე ინჟინერიის საოცრებასაც წარმოადგენს.¹⁵

¹⁵ <http://oilprice.com/Latest-Energy-News/World-News/The-Worlds-10-Largest-Hydroelectric-Dams.html>